



ბრძანება № 01-02/118

„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 29 ნოემბრის №01-02/276 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის №06-01/07 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 29 ნოემბრის №01-02/276 ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის 12 ივლისის №852688 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 29 ნოემბრის №01-02/276 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, N1 დანართში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“) შეიცვალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმა (პროგრამის N1 დანართი) და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ვებში - „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“).
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში











